საწესდებო კაპიტალი წარმოადგენდა კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას შპს ჯიარ ქონების მართვის სადამფუძნებლო დოკუმენტებში.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალმა კანონმა განსაზღვრა განთავსებული კაპიტალის ვადა და კომპანიას 2025 წლის პირველ აპრილამდე ავალდებულებს შესაბამისობის უზრუნველყოფას. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ განუსაზღვრავს განთავსებული კაპიტალი.

დირექტორთა საბჭოს 2024 წლის 12 აგვისტოთი დათარიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, დამტკიცდა შპს „ჯიარ ქონების მართვისთვის“ კაპიტალის შემცირება არაუმეტეს 22,609,266.82 ლარისა. შემცირება განაწილებულია შემდეგნაირად:

ა) 20,000,000 ლარის ოდენობით ნაღდი ფულის განაწილება კაპიტალის შემცირება სს საქართველოს რკინიგზის მიერ;

ბ) სს „საქართველოს რკინიგზის“ შპს „ჯიარ ქონების მართვის“ მიმართ არსებული 1,609,266.82 ლარის ოდენობით ვალდებულების დაკმაყოფილება;

გ) საიჯარო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი პოტენციური მომავალი ვალდებულებების დასაფარად არაუმეტეს 1,000,000 ლარის განაწილება.

(b) მესაკუთრის არაფულადი შენატანების რეზერვი

სხვაობა საწესდებო კაპიტალის ნომინალურ ოდენობას მესაკუთრის მიერ შეტანილი არაფულადი აქტივებისთვის და შეტანილი აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება მესაკუთრის არაფულადი შენატანების რეზერვში.

არაფულადი შენატანების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა აქციონერის გადაწყვეტილების

თარიღისთვის და აღიარებულ იქნა შესაბამისი მოთხოვნა აქციონერების მიმართ. შედეგად, როდესაც ჯგუფი მიიღებს არაფულად ერთეულებს, აქციონერების მიმართ არსებული მოთხოვნის აღიარება შეწყდება და შესაბამისი ძირითადი საშუალება ან საინვესტიციო ქონება იქნება აღიარებული.

2024 წლის განმავლობაში, დამატებები საწესდებო კაპიტალზე მოიცავს 98 ათასი ლარის ნომინალური ღირებულების მქონე (2023: 186 ათასი ლარი) არაფულად შენატანებს მშობელი კომპანიის მიერ.

2024 წელს, 98 ათასი ლარის ოდენობით არაფულადი შენატანების სამართლიანი ღირებულება იქნა აღიარებული, როგორც დამატება საინვესტიციო ქონებაზე და ძირითად საშუალებებზე, რადგან აღნიშნული აქტივები მიღებულ იქნა 2024 წელს (2023: 186 ათასი ლარი). დარჩენილი დამატებები საინვესტიციო ქონებაზე და ძირითად საშუალებებზე 2024 და წინა წლებში განხორციელებულ არაფულად შენატანებს წარმოადგენს (2022: 1,247 ათასი ლარი) (იხილეთ შენიშვნა 7 (a) და შენიშვნა 6 (a)).

არაფულადი ერთეულები, რომლებიც შეტანილია შპს ჯიარ ქონების მართვის საწესდებო კაპიტალში აქციონერთა გადაწყვეტილების საფუძველზე, მაგრამ ჯერ არ ყოფილა მიღებული 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, კლასიფიცირებულია, როგორც მოთხოვნები აქციონერების მიმართ.

არაფულადი შენატანების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა მოხდა მსგავსი აქტივების (მსგავს ადგილმდებარეობაზე ან მსგავს ფიზიკურ მდგომარეობაში) გამოცხადებულ მოთხოვნილ ფასებზე დაყრდნობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება განეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს, შეფასების მეთოდებში გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული კორექტირებების გამო. მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები უკავშირდება სხვაობებს მიწის მახასიათებლებში, როგორც არის ადგილმდებარეობა და ფიზიკური პირობები. 2022 წელს, შენატანების ძირითადი ნაწილი გამოყენებულ ვაგონებს უკავშირდებოდა, რომლებიც შეფასდა ბაზარზე არსებული ჯართის ფასების გამოყენებით, შენატანის განხორციელების თარიღისთვის.

(c) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიები უნდა ფლობდნენ გასანაწილებელ რეზერვებს იმ ოდენობით, რომ მათი მთლიანი აქტივები ფარავდეს მთლიან ვალდებულებებს და განთავსებულ კაპიტალს, როგორც ეს აღრიცხულია ფასის აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2024 წელს, ჯგუფის მიერ არ მოხდა დივიდენდის განაწილება (2023: ნული).

10. კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვის და ჯგუფის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

ჯგუფის კაპიტალის მართვის მიდგომაში წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა. არც კომპანია და არც მისი შვილობილი კომპანიები არ ექვემდებარებიან გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

11. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, განუსაზღვრელობებიდან და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემისთვის შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციებში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირითადი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები მიახლოებულია მათ საბალანსო ღირებულებებს, ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების უმეტესობის მოკლე ვადიანობის გამო.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით ჯგუფი შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 11 (b)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 11 (b)(iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 11 (b)(iv)); და
- საპროცენტო განაკვეთის რისკი (იხილეთ შენიშვნა 11 (b)(v)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

მშობელი კომპანიის დირექტორთა საბჭოს აკისრია მთლიანი პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად განიხილება ბაზრის პირობებისა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით ჯგუფის მიზანს წარმოადგენს დისკიპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

მშობელი კომპანიის დირექტორთა საბჭო ზედამხედველობას უწევს თუ როგორ ახდენს ხელმძღვანელობა ჯგუფის რისკების მართვის პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგს და განიხილავს რისკების მართვის სტრუქტურის ადეკვატურობას, ჯგუფის წინაშე არსებულ რისკებთან მიმართებაში.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაპენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტებიდან. კომპანია ინახავს მის ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ქართულ ბანკებში მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით B (ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით). არცერთი ნაშთი არ არის არც ვადაგადაცილებული არც გაუფასურებული და კლასიფიცირებულია 1-ელ დონეზე. კომპანია არ მოელოს, რომ რომელიმე კონტრაპენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაპენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტებიდან. კომპანია ინახავს მის ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ქართულ ბანკებში მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით B (ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით). არცერთი ნაშთი არ არის არც ვადაგადაცილებული არც გაუფასურებული და კლასიფიცირებულია 1-ელ დონეზე. კომპანია არ მოელოს, რომ რომელიმე კონტრაპენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის მაქსიმალური დამოკიდებულება საკრედიტო რისკზე კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შემადგენელი კომპონენტებისთვის:

კომპანიის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი	
	2024	2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აშშ დოლარი	2.7208	2.6279	2.8068	2.6894

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება (შესუსტება), ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, აშშ დოლართან მიმართებაში 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და ასევე იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე და კაპიტალზე დაბეგრამდე, ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება.

	2024	2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16,873	36,670
საიჯარო მოთხოვნები	744	1,634
	17,617	38,304

ჯგუფის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს ფაქტორებს რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ ჯგუფის კლიენტთა ბაზის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ ინდუსტრიის და ქვეყნის დეფოლტის რისკს, რომელშიც ფუნქციონირებენ მომხმარებლები, კერძოდ კი ამჟამად გაუარესებულ ეკონომიკურ პირობებში.

2024 წლის განმავლობაში, ჯგუფის საიჯარო შემოსავლის დაახლოებით 41% (2023: 45%) მიკუთვნება ჯგუფის მშობელ კომპანიასთან განხორციელებულ ოპერაციებზე.

ჯგუფის საიჯარო მოთხოვნა შედგება მოთხოვნებისგან ქართული კომპანიების მიმართ, რომლებიც ფიზიკურ პირებზე გასწევს სატრანსპორტო ბილეთების გაყიდვის ან სხვა მომსახურებას. აღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი იმართება მოთხოვნების ნაშთების ყოველთვიური მონიტორინგის გზით და იმ სესხების დაუყოვნებელი დაფარვის მოთხოვნით, რომელთა ნაშთი თითოეული ინდივიდუალური კონტრაქტისთვის გარკვეულ, დაწესებულ ზღვრებს უახლოვდება.

მომხმარებელთა საკრედიტო რისკის მონიტორინგის დროს, მომხმარებლები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის, ასაკობრივი პროფილი, დაფარვის ვადა და წარსულში არსებული ფინანსური სირთულეები.

როგორც წესი, საიჯარო მოთხოვნებთან მიმართებაში უზრუნველყოფა არ მოითხოვება.

ჯგუფი ადგენს გაუფასურების რეზერვს, რაც წარმოადგენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მისეულ შეფასებას საიჯარო მოთხოვნებთან მიმართებაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და რეზერვების გაუფასურება

მომდარაობა გაუფასურების რეზერვში საიჯარო მოთხოვნებთან მიმართებაში წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

‘000 ლარი	2024	2023
ნაშთი წლის დასაწყისში	2,469	1,986
ზრდა წლის განმავლობაში	183	483
ნაშთი წლის ბოლოს	2,652	2,469

საიჯარო მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის გამოიყენება სარეზერვო ანგარიში, ვიდრე ჯგუფი არ დარწმუნდება რომ ვერ მიიღებს მისდამი მართებულ თანხებს; ამ დროს თანხა მიიჩნევა უიმედოდ და ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და ვადიანი ანაზრები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის 16,870 ათასი ლარის ოდენობით ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (31 დეკემბერი 2023: 36,670 ათასი ლარი) წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო დაქვემდებარებას ამ აქტივებზე. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია ქართულ ბანკებში, რომელთაც Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ შეფასებები BB (გრძელვადიანი რეიტინგი) და B (მოკლევადიანი რეიტინგი). არცერთი ნაშთი არ არის არც ვადაგადაცილებული არც გაუფასურებული და კლასიფიცირებულია 1-ელ დონეზე. ჯგუფი არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაქტის ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივების მიწოდების გზით. ჯგუფის პოლიტიკა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან ჯგუფის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ჯგუფი ლიკვიდურობის რისკის მართვაში იყენებს დაფარვის ვადების ცხრილებს. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება ხელშეკრულების მიხედვით გადახდილი უნდა იქნეს საანგარიშგებო თარიღიდან, კერძოდ 2024 წლის 31 დეკემბრიდან, ექვსი თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსური ვალდებულებებიდან ფულადი სახსრების გადინების ვადები არ აღემატება ერთ წელს.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის პროცესში.

(v) სავალუტო რისკი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფი არ ექვემდებარება არსებით უცხოური ვალუტის რისკს.

(vi) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება პირველ რიგში მოქმედებს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე და ვადიან ანაზრებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებული განაკვეთი) ან მათი მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლადი განაკვეთი) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის დასადგენად, თუ ჯგუფის ფინანსური ვალდებულებებიდან რამდენი უნდა იყოს ფიქსირებული და რამდენი ცვლადი საპროცენტო განაკვეთით. თუმცა ახალი მოთხოვნის ან ვადიანი ანაზრის განთავსებისას, ხელმძღვანელობა იყენებს საკუთარ მსჯელობას იმის გადასაწყვეტად ფიქსირებული განაკვეთი უფრო

ხელსაყრელი იქნება ჯგუფისთვის თუ ცვლადი, მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, დაფარვის ვადამდე.

ჯგუფი არსებითად არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს მის ცვლადგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით.

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

ჯგუფი არ აღრიცხავს ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულს ან როგორც სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულს. შესაბამისად, ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში საანგარიშგებო თარიღისთვის არ იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე, ან კაპიტალზე.

12. პირობითი ვალდებულებები

(a) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს რაიმე დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან გასულია სამი წელი.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს ჯგუფისეული ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტაციის არგუმენტირებას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის, ქონების გადასახადის ნაწილის 202-ე მუხლის, 4' პუნქტის თანახმად საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს საგადასახადო შემოწმებისას დასაბეგრი ქონების ღირებულება განუსაზღვროს საბაზრო ფასით.

საგადასახადო კოდექსის აღნიშნული ჩანაწერი ჯგუფისთვის წარმოქმნის ზოგად საგადასახადო რისკს, რადგან ჯგუფი 2010 წლიდან ფლობს ჯამში 46,074 (აქედან შენობა-ნაგებობები: 29,553 ათასი ლარი) ათასის ლარის ქონებას რომელსაც აღრიცხავს თვითთირებულების მოდელით. ქონების საბაზრო ღირებულების მოცულობა შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ქონების გადასახადის ზრდას.

თუმცა, ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ 2024-2023 წლის საანგარიშგებო პერიოდებისათვის ფლობილი აქტივების საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მის საბაზრო ღირებულებასთან და შესაბამისად ჯგუფი ამ ეტაპზე არ დგას რაიმე საგადასახადო რისკის წინაშე. ამასთან, თუ კი ჯგუფს მაინც დაუდგება საგადასახადო რისკი, შედეგები ფინანსური ანგარიშგების დონეზე არ იქნება არსებითი ქონების გადასახადის 1%-იანი განაკვეთის ფარგლებში

(b) სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, ჯგუფი დაქვემდებარებულია სარჩელებსა და საჩივრებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის მომავალი

ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

(c) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფს არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონებისთვის, საქმიანობის შეწყვეტისთვის ან მესამე პირის ვალდებულებებისთვის ქონების ან გარემოს დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშობა ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული უზედური შემთხვევებიდან. სანამ არ მოხდება ჯგუფის სათანადოდ დაზღვევა, იარსებებს რისკი იმისა, რომ კონკრეტული აქტივების დაკარგვა ან დაზიანება არსებით უარყოფით გავლენას იქონიებს ჯგუფის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობაზე.

13. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

ჯგუფის პირდაპირი მშობელი კომპანია არის სს „საქართველოს რკინიგზა“. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა.

სს "საქართველოს რკინიგზა" ამზადებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებგვერდის მეშვეობით.

(b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

(i) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯების კატეგორიაში:

	2024	2023
ხელფასები და ბონუსები	124	119
	124	119

(c) სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(i) ოპერაციები მთავრობასთან

ჯგუფი აწარმოებს ყოველდღიურ ოპერაციებს რიგ საწარმოებთან, რომლებიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან არის საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. ჯგუფმა აირჩია ბასს 24-ის, „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ გამონაკლისის გამოყენება, რომელიც იძლევა დაკავშირებული მხარის შესახებ ინფორმაციის შემცირებული სახით წარდგენის ნებართვას, მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით.

ჯგუფის სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია ქვემოთ:

(ii) ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	გარიგების ღირებულება 2024	გარიგების ღირებულება 2023	დაუფარავი ნაშთი 2024	დაუფარავი ნაშთი 2023
მშობელი კომპანია	44,396	644	-	910
საოპერაციო ხარჯები	62	276	-	-
	44,458	920	-	910

საიჯარო შემოსავალი სხვადასხვა სადგურების მშობელ კომპანიაზე გაქირავებიდან მიღებულ შემოსავალს წარმოადგენს.

ხელმძღვანელობის შეფასებით, სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებული შესაბამისი ნაშთების აგრეგირებული ოდენობა უმნიშვნელოა.

არაფულადი შენატანები მშობელი კომპანიის მხრიდან წარმოდგენილია შენიშვნაში 9 (b).

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან როდესაც მას აქვს უფლება ცვლად ამონაგებზე საწარმოში მისი ჩართულობიდან და როდესაც მას შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ ამონაგებზე საწარმოში მისი უფლებამოსილების გამოყენებით. შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების თარიღიდან, მისი დასრულების თარიღამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკები შეიცვალა, როდესაც საჭირო გახდა მათი ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკებზე მორგება.

(ii) კონსოლიდაციისას ელიმინირებული ოპერაციები

ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი ჯგუფის შიდა ნაშთები და ოპერაციები, ასევე ნებისმიერი ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯები, ელიმინირდება.

(b) შემოსავალი

(i) საიჯარო შემოსავალი

საინვესტიციო ქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით იჯარის ვადის მანძილზე. გაცემული საიჯარო შეღავათები აღიარდება მთლიანი საიჯარო შემოსავლის განუყოფელი ნაწილის სახით, იჯარის ვადის მანძილზე.

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებზე;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალ ფულად გადახდებს ან მისაღებ თანხებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე.

საპროცენტო შემოსავლის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით). თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა საკრედიტო რისკით, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება წმინდა

საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(d) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ჯგუფის საწარმოების შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, კომპანიის სამუშაო ვალუტაში. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების განხორციელების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების ურთიერთგადაფარვა ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მოგების გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. ჯგუფი ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ხას 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(f) ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის

ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შემენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ დანახარჯთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოედინება.

ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო საწარმოს შიდა ძალებით დამზადებული აქტივები - მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული ნარჩენი ღირებულებად.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო ვადები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

- შენობა-ნაგებობები 10-50 წელი;
- სარკინიგზო ინფრასტრუქტურა 10-25 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები და სხვა 6-15 წელი;

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, აუცილებლობის შემთხვევაში კორექტირდება.

გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა/(ზარალი)

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას წარმოშობილი შემოსულობა ან ზარალი შეტანილია მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც ერთეულის აღიარება წყდება. შემოსულობა არ კლასიფიცირდება შემოსავლის სახით.

(g) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლის მიღების ან/და კაპიტალის ღირებულების ზრდის (ან ორივე) მიზნით. საინვესტიციო ქონება მოიცავს ქონებას, რომლის სამომავლო დანიშნულება ჯერჯერობით განუსაზღვრელია.

საინვესტიციო ქონება წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით. საბალანსო ღირებულება მოიცავს აქტივის ნაწილის გამოცვლასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, თუკი ეს დანახარჯები აკმაყოფილებენ აქტივად აღიარების კრიტერიუმს, მაგრამ არ მოიცავს საინვესტიციო ქონების ყოველდღიური მომსახურების დანახარჯებს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ საინვესტიციო ქონება აღირიცხება მისი თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

საინვესტიციო ქონების ერთეულების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები იგივეა, რაც ძირითადი საშუალებებისთვის (შენიშვნა 15 (f) (iii)).

საინვესტიციო ქონების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვისთანავე ან როცა მისი გამოყენების შეწყვეტისას ან გაყიდვის შედეგად მომავალი ეკონომიკური სარგებელის მიღება მოსალოდნელი აღარ არის. საინვესტიციო ქონების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას წარმოშობილი შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც ერთეულის აღიარება წყდება. შემოსულობა არ კლასიფიცირდება შემოსავლის სახით.

საინვესტიციო ქონებაში გადატანა ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა იცვლება ქონების დანიშნულება, რაც დასტურდება იმით, რომ ქონება არ არის დაკავებული მისი მფლობელის მიერ ან გადაცემულია მეორე მხარისთვის საოპერაციო იჯარის გზით.

(h) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

საიჯარო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობის თარიღისთვის. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის საიჯარო მოთხოვნა არსებითი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება (თუ სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულ ერთეულს არ წარმოადგენს) საწყის ეტაპზე აღირიცხება სამართლიან ღირებულებას დამატებული მის შემენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. საიჯარო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიჯნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

სავაჭრო მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულადი სახსრების ნაშთებს, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან ნაკლები შემენის თარიღიდან. მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი არა-

არსებითია.

აღნიშნული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები - ბიზნეს მოდელის შეფასება

ჯგუფი აფასებს იმ ბიზნეს მოდელის მიზანს, რომლის ფარგლებშიც არის ფლობილი ფინანსური აქტივი პორტფელის დონეზე, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს ბიზნესის მართვის გზებს და ინფორმაცია მიწოდებულია ხელმძღვანელობისთვის. გათვალისწინებულია შემდეგი ინფორმაცია:

- პორტფელისთვის დადგენილი პოლიტიკები და მიზნები და აღნიშნული პოლიტიკების გამოყენება პრაქტიკაში. აღნიშნული მოიცავს: კონცენტრირებულია თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია სახელმწიფოებრივ საპროცენტო შემოსავლის გამომუშავებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის ნებისმიერი დაკავშირებული ვალდებულებების ან მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადინებების ხანგრძლივობასთან შესაბამისობაზე, ან აქტივების გაყიდვით ფულადი ნაკადების რეალიზაციაზე.
- რისკები, რომლებსაც გავლენა აქვთ ბიზნეს მოდელის ეფექტურობაზე (და აღნიშნული ბიზნეს მოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივები) და აღნიშნული რისკების მართვის გზები;
- წინა პერიოდებში ფინანსური აქტივების გაყიდვების სიხშირე, მოცულობა და ვადები, მსგავსი გაყიდვების მიზეზები და მომავალი გაყიდვების საქმიანობასთან დაკავშირებული მოლოდინები.

ფინანსური აქტივების მესამე მხარეებზე გადაცემა გარიგებებში, რომლებიც არ კლასიფიცირდება აღიარების შეწყვეტად არ არის მიჩნეული გაყიდვად ამ მიზნისათვის, ჯგუფის აქტივების უწყვეტი აღიარების შესაბამისად.

სავაჭროდ ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა შედეგები სამართლიანი ღირებულების საფუძველზე არის შეფასებული, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა ან ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელმწიფოებრივ უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელმწიფოებრივ ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

ჯგუფი დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iv) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს ამჟამად აქვს იურიდიული უფლება, რომ ურთიერთგადაფაროს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(i) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

(j) მესაკუთრის არაფულადი შენატანების რეზერვი და არაფულადი განაწილებები

სხვაობა საწესდებო კაპიტალის ნომინალურ ოდენობას მესაკუთრის მიერ შეტანილი არაფულადი აქტივებისთვის და შეტანილი აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება მესაკუთრის არაფულადი შენატანების რეზერვში.

არაფულადი განაწილებები განაწილებული აქტივების საბალანსო ღირებულებით აღიარდება. ჯგუფის არა-ფულადი განაწილებები არ განიხილება ფასიკ 17 „არაფულადი აქტივების განაწილება მესაკუთრეებზე“ ფარგლებში, რადგან აქტივებს აკონტროლებს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე მათ განაწილებამდე და განაწილების შემდეგ.

(k) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე:

ჯგუფი აფასებს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და

- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი არასაჭირო ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

ჯგუფი ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის ფლობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

კომპანია მიიჩნევს, რომ სესხის უზრუნველყოფას აქვს დაბალი საკრედიტო რისკი, როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი ტოლია გლობალურად მიღებული განმარტებისა „ინვესტიციის ხარისხი“.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ზარალის რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც ჯგუფს აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ინდივიდუალური კლიენტების შემთხვევაში როდესაც ფინანსური აქტივი 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია, ჯგუფი იყენებს მთლიანი საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკას, მსგავსი აქტივების ამოღების წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. კორპორატიული კლიენტებისთვის, ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება.

ჯგუფი აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას ჯგუფის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(l) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდინებებისგან.

ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოდინებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით, რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას და შემდეგ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ნებისმიერ მინიშნებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულებას განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(m) დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმების ფარგლებში, თუ ჯგუფს ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(n) იჯარები

ხელშეკრულების დადებისას, ჯგუფი განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, ჯგუფი ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

(i) როგორც მოიჯარე

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს არ აქვს არსებითი საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებშიც ის მოქმედებს როგორც მოიჯარე. ჯგუფმა აირჩია არ აღიაროს აქტივები გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებები მოკლევადიანი იჯარებისთვის. ჯგუფი აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

(ii) როგორც მეიჯარე

საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან მისი ცვლილების დროს, ჯგუფი ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს, მათი შესაბამისი, განცალკევებული ფასის მიხედვით.

როდესაც ჯგუფი მეიჯარეს სახით მოქმედებს, ის იჯარის დაწყებისას განსაზღვრავს იჯარა ფინანსურ იჯარას წარმოადგენს თუ საოპერაციო იჯარას.

თითოეული იჯარის კლასიფიკაციისთვის, ჯგუფი ახორციელებს ზოგად შეფასებას იმისა გადასცემს თუ არა იჯარა შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. თუ კი, მაშინ იჯარა ფინანსური იჯარის სახით კლასიფიცირდებოდა; თუ არა, მაშინ საოპერაციო იჯარის სახით. აღნიშნული შეფასების ნაწილის სახით, ჯგუფმა გაითვალისწინა გარკვეული მაჩვენებლები, მაგალითად იყო თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის ძირითადი ნაწილისთვის.

თუ გარიგება შეიცავს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს, მაშინ ჯგუფი ხელშეკრულებაში მოცემული ანაზღაურების გასანაწილებლად იყენებს ფასს 15-ს.

ჯგუფი იჯარაში წმინდა ინვესტიციაზე იყენებს ფასს 9-ის აღიარების შეწყვეტის და გაუფასურების მოთხოვნებს. ჯგუფი შემდგომ რეგულარულად მიმოიხილავს იჯარაში მთლიანი ინვესტიციის გამოთვლაში გამოყენებულ სავარაუდო არა-გარანტირებულ ნარჩენ ღირებულებებს.

14. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ ამოქმედებულა

ეს გამოცემა არ მოიცავს იმ საბუღალტრო სტანდარტებს, რომელთა ამოქმედების თარიღი 2024 წლის 1 იანვრის შემდეგია.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას არ აქვს ვალდებულება ნაადრევად გამოყენების, ბასს 8-ის (ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, ცვლილებები აღრიცხვის შეფასებებში და შეცდომები) მე-30 პარაგრაფი ავალდებულებს კომპანიას, რომ გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია იმ ცვლილებების შეფასებისთვის, რომლებიც ამ ახალი სტანდარტების გამოყენებას მოჰყვება.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელიც ასახავს იმ სტანდარტებს და შესწორებებს, რომლებიც უკვე გამოცემულია, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა.

ცხრილი – საბუღალტრო სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ ამოქმედებულა (2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)			
სტანდარტი/შესწორება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (ადრეული გამოყენების შესაძლებელია, თუ სხვაგვარ არ არის აღნიშნული)	შესწორებული სტანდარტები/ინტერპრეტაციები

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21- შესწორებები)	აგვ-23	1-იან-25	ბასს 21, ფასს 1

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა

ბასს 21-ში შეტანილი ცვლილებები კომპანიას ავალდებულებს, რომ მან გამოიყენოს თანმიმდევრული მიდგომა იმის დასადგენად, არის თუ არა ვალუტა გაცვლითუნარიანი და, იმ შემთხვევაში, თუ არ არის, როგორ უნდა განისაზღვროს გამოსაყენებელი გაცვლითი კურსი და რა სახის ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს.

არამიმდინარე ვალდებულებები გარანტიებით (ბასს 1-ის დამატებითი შესწორება)

IASB-მ 2022 წლის ოქტომბერში ბასს 1-ში შემდგომი შესწორებები შეიტანა, რათა განემარტა, თუ როგორ მოქმედებს ვალდებულების გადავადების უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიას გარანტიების შესრულება მოეთხოვება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც სავალდებულოდ ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორება)

2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-მ გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რომლებიც დაკავშირებულია გაცვლითუნარიანობის ხანგრძლივ ნაკლებობასთან.

წინასწარი მოთხოვნები ამ საკითხზე ბასს 21-ში არ არსებობდა, რის გამოც აღრიცხვაში სხვადასხვა პრაქტიკა გამოიყენებოდა. აღნიშნული შესწორებები ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლითუნარიანი და განსაზღვრავს, როგორ უნდა შეფასდეს გაცვლითი კურსი ასეთ შემთხვევებში.

თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებით გავლენას არ იქონიებს.

15. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდგომ არ ყოფილა რაიმე მოვლენა ან ახალი გარემოება, რომელიც მოითხოვდა ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ციფრების შეცვლას ან დამატებით ინფორმაციის გამჟღავნებას.

შპს „ჯიარ ქონების
მართვა“

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიში

სარჩევი

კომპანია დამისიმიზნები	34
კომპანიის ორგანიზაცი ულისტრუქტურა	34
უძრავ-მოძრავი ქონება და ქონების განკარგვის ფორმები	35
ქონების აღრიცხვის და განკარგვის პროცესის სტიმულირება	35
ინფრასტრუქტურული პროექტები	36
სასასწორე მეურნეობა	37
ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება	37
მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები	37
შპს „ჯიარბორჯომი - ბაკურიანი“	38
კომპანიის შესახებ	38
კონსოლიდირებული მონაცემები	39
საინვესტიციო ქონება	39
სხვა ქონება და აღჭურვილობა	39
შემოსავლები	40
ფინანსური რისკები	41

კომპანია და მისი მიზნები

შპს „ჯიარ ქონების მართვა“ დაარსდა 2009 წელს, რომლის 100% წილის მფლობელია სს „საქართველოს რკინიგზა“. კომპანიის დაფუძნება მიზნად ისახავდა საქართველოს რკინიგზისთვის არაპროფილური უძრავ-მოძრავი ქონების ეფექტურად მართვას და დამატებითი შემოსავლების მიღებას.

კომპანია ახორციელებს აქტივების ეფექტურად მართვას, რაც მოიცავს:

- აქტივების აღრიცხვა სისტემატიზაციას;
- აქტივების ლიკვიდურობის ხასიათის დადგენა, აქტივების დივერსიფიკაცია;
- ქონების განკარგვის ფორმის განსაზღვრა;
- შემოსავლების მიღების მიზნით გამოუყენებელი აქტივების რეალიზაცია/სხვა ფორმით განკარგვა (იჯარა).
- სხვადასხვა პროექტების განვითარება (დეველოპმენტი);

კომპანია ასევე ახორციელებს შვილობილი კომპანია „ჯიარ-ბორჯომი ბაკურიანის“ მართვას.

კომპანიის საქმიანობის სფეროში ასევე შედის სასასწორო მეურნეობა, რომელიც ახორციელებს სარკინიგზო ვაგონების სასწორების დამოწმება/დაკალიბრებას

კომპანიის პრიორიტეტები:

- მაქსიმალური მოგება/ხარჯების მინიმიზაცია;
- მომხმარებელთა მოზიდვა;
- ქონების აღრიცხვისა და სისტემატიზაციის სრულყოფა;
- გამჭვირვალობა და ღიაობა

კომპანია დაარსებიდან დღემდე მუდმივ განვითარებაზეა ორიენტირებული, შესაბამისად წინამდებარე კონცეფციაში წარმოდგენილია ის მიმართულებები, რომელთა დანერგვაზე ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა.


კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა

შპს „ჯიარ ქონების მართვის“ ორგანიზაციული სტრუქტურა შედგენილია კომპანიის საქმიანობის სპეციფიკისა და საჭიროებებიდან გამომდინარე. ასევე, მორგებულია კომპანიის მიზნებსა და სტრატეგიაზე.

ბოლო სამი წლის განმავლობაში კადრების რაოდენობა 40-დან 50-მდე მერყეობს. 2024 წლის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულების რაოდენობა შეადგენს 42 თანამშრომელს.

აღსანიშნავია, რომ შპს „ჯიარ ქონების მართვის“ თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯები „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფთან“ და სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-თან ანაზღაურებულია კომპანიის მიერ.

გენდერული განაწილება:



ასაკობრივი ზღვარები:

ასაკი	<20	21-30	31-40	41-50	51-60	>60
რაოდენობა	-		2	19	12	10

უძრავ-მოძრავი ქონება და განკარგვის ფორმები

შპს „ჯიარ ქონების მართვა“ იყო ინოვაციური კომპანია, რომელმაც 2014 წელს, სს „საქართველოს რკინიგზის“ სისტემაში პირველმა განახორციელა ინტერნეტ აუქციონის ელექტრონული პორტალის www.eauction.ge-ს გამოყენებით ქონების განკარგვა. ამ სისტემის შედეგად კომპანიამ უზრუნველყო: მაქსიმალურად გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული, სამართლიანი და მარტივი პროცედურებით განეხორციალებინა ქონების იჯარით გაცემის და რეალიზაციის პროცესი, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, ელექტრონულად, ინტერნეტის გამოყენებით, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან მოახდინოს სასურველ ლოტზე აუქციონში მონაწილეობის მიღება.

2024 წლის მონაცემებით სულ გამოცხადდა 124 ელექტრონული აუქციონი (მათ შორის რამოდენიმე ლოტი განმეორებით), ხოლო აქედან წარმატებით დასრულდა 38 აუქციონი. მათ შორის ქონების რეალიზაცია 25 და იჯარა 13. ქონების გაყიდვების შემდგარი აუქციონების თანხამ 283 175 ლარი, ხოლო იჯარით გამოცხადებული შემდგარი აუქციონების თანხამ 12 005

ქონების აღრიცხვის და განკარგვის პროცესის სტიმულირება

კომპანიის საკუთრებაში არსებული აქტივებიდან შემოსავლების მიღების მიზნით შპს „ჯიარ ქონების მართვა“ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით ავრცელებს ინფორმაციას სარეალიზაციო/იჯარით გასაცემი ქონების შესახებ. ასევე, პოტენციურად დაინტერესებულ პირებს აწვდის პრეზენტაციას უძრავი ქონების შესახებ.

ქონების იჯარით გაცემის მიზნით ადგილზე განთავსდა სარეკლამო/საინფორმაციო დაფები კომპანიის რეკვიზიტებით და საიჯარო ფართებით დაინტერესების შემთხვევაში.

აღირცხა კომპანიის ბალანსზე არსებული უძრავი ქონება და მოხდა მათი სისტემატიზაცია.

შეიქმნა უძრავი ქონების GIS მონაცემთა ბაზა.

მონაცემთა ბაზაში სრულად ასახული იქნა საბალანსო და საკადასტრო მონაცემები, განხორციელდა დასურათება და ბაზაში მიბმა.

მონაცემთა ბაზა იძლევა საშუალებას კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ვიზუალიზაციის გზით განვახორციელოთ თვალსაჩინო შეთავაზებები, გავავრცელოთ ინფორმაცია და მოვიზიდოთ მომხმარებელი.

ასევე, ზუსტად ვიცოდეთ კომპანიის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთების საზღვრები.

მოვახდინოთ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციების სამართლებრივი რეგულირება.

რაც თავის მხრივ საშუალებას იძლევა საშუალებას იძლევა:

- უძრავ ქონებაზე ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და სისტემატიზაცია გახდეს მეტად სისტემური, ინფორმატიული და მობილური.
- განხორციელდეს მკაფიო და კონკრეტული შეთავაზებები პოტენციური კლიენტებისთვის;

დამფუძნებელი კომპანიის დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს როლი უძრავ-მოდრავი ქონების განკარგვის პროცესში

ბაზარზე არსებულ მოთხოვნაზე დაკვირვების და ანალიზის შედეგად, შპს „ჯიარ ქონების მართვა“ ამზადებს სარეალიზაციო და დროებით სარგებლობაში გადასაცემი ქონების ნუსხას, რომელთა განკარგვის ნებართვას სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოსთან შეთანხმებით, იძლევა სამეთვალყურეო საბჭო.

ქონების განკარგვის პროცედურების გამარტივების მიზნით, სს „საქართველოს რკინიგზისა“ და მისი წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების და ასეთი კომპანიების წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის წესის შესაბამისად:

- შპს „ჯიარ ქონების მართვის“ მიერ უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში, თუ დროებითი სარგებლობის ვადა არ აღემატება 5 წელს და/ან ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის საფასური არ აღემატება 7 000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, ქონების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემა ხორციელდება შპს „ჯიარ ქონების მართვის“ გენერალური დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე, სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოსთან და სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმების გარეშე.
- შპს „ჯიარ ქონების მართვის“ მიერ ქონების გაყიდვის შემთხვევაში, თუ გასაყიდი ქონების (გარდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობისა, კერძოდ: თბომავლების, ელმავლების, სატვირთო და სამგზავრო ვაგონებისა, აგრეთვე, შავი და ფერადი ლითონის ჯართის რეალიზაციისა) საწყისი სარეალიზაციო ფასი არ აღემატება 20 000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, ქონების გაყიდვა ხდება შპს „ჯიარ ქონების მართვის“ გენერალური დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე, სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოსთან და სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმების გარეშე. ამასთანავე, სარეალიზაციო ქონების გასხვისებიდან მიღებული ფაქტობრივი შემოსავალი ერთ კალენდარულ წელზე არ უნდა აღემატებოდეს 200 000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

სასასწორო მეურნეობა

სასასწორო მეურნეობის მიერ გაწეული მომსახურების შედეგად მიღებულმა შემოსავალმა 2024 წელს შეადგინა 94 563 ლარი (2023: 160 340 ლარი), რომელიც მოიცავს როგორც სს „საქართველოს რკინიგზისთვის ასევე იურიდიული პირებისთვის გაწეულ მომსახურებას და საშუალებას იძლევა შენარჩუნდეს როგორც სამუშაო პერსონალი, ასევე სასასწორო ინფრასტრუქტურა.

მიმდინარეობს დაკალიბრების მომსახურების გაყიდვების შესახებ მარკეტინგული კვლევა ახალი კლიენტების მოძიების მიზნით.

ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება

შპს „ჯიარ ქონების მართვა“ ქონების ეფექტურად მართვის მიზნით სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებს მუშაობას.

- კვლევები

ქონების განკარგვის პროცესში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს კვლევებს. შპს „ჯიარ ქონების მართვის“ თანამშრომლების მიერ მუდმივად ხდება ბაზარზე დაკვირვების საფუძველზე რეკომენდაციების მომზადება.

მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა კომპანიებთან სს „საქართველოს რკინიგზის“ და მისი შვილობილი კომპანიების ბალანსზე არსებული მიწის ნაკვეთებიდან განვითარების პოტენციალის მქონე ნაკვეთების შერჩევის მიზნით.

- გაყიდვები

კომპანია მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტიურად მუშაობს პოტენციურ და არსებულ მოიჯარეებთან, რათა დროულად მოხდეს ბაზარზე არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და ადეკვატური ქმედებების განხორციელება პოტენციური გასაიჯარებელი ფართების მოცულობის გაზრდის მიზნით. ასევე აღსანიშნავია, რომ კომპანია ქონებას აიჯარებს მაქსიმუმ 10 წლის ვადით, ხოლო სოლიდური ინვესტიციის განხორციელების შემთხვევაში სასყიდლიან სარგებლობაში უძრავი ქონების გადაცემა შესაძლებელია განხორციელდეს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი მაქსიმალური ვადით.

მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები

დახარისხდა და მომზადდა სარეალიზაციოდ კომპანიის ბალანსზე რიცხული გამოუყენებელი (უვარგისი) მოძრავი ქონება, მარაგები. აღნიშნული ქონების რეალიზაციის შემდგომ კომპანია განთავისუფლდება არასაჭირო ქონებისგან და გამონთავისუფლდება სს „საქართველოს რკინიგზის“ შენობა-ნაგებობები, რაც შესაძლებლობას მისცემს კომპანიას მოახდინოს მათი რეალიზაცია ან იჯარით გადაცემა.

SWOT

ძლიერი მხარე

- ✓ მთელი ქვეყნის მასშტაბით უძრავი ქონების დივერსიფიკაცია
- ✓ გამჭირვალე და არადისკრიმინაციული ქონების განკარგვის სისტემა (ინტერნეტ აუქციონი)
- ✓ უწყვეტი ჯანსაღი კომუნიკაცია არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებთან

სუსტი მხარე

- ✓ ქონების რეალიზაციის ან იჯარით გაცემის ხანგრძლივობა
- ✓ უძრავი ქონების ბაზარზე დაბალი ცნობადობა

შესაძლებლობები

- ✓ აქტიური მარკეტინგული კამპანიის ჩატარება, კომპანიის ცნობადობის გაზრდის მიზნით
- ✓ უცხო პარტნიორების მოძიება და სხვადასხვა პროექტებში თანაინვესტირება
- ✓ არსებული უძრავი ქონების მოდერნიზაცია და მომხმარებლებისთვის მიმზიდველად ქცევა

საფრთხე

- ✓ მოძრავი ქონების დატაცების საფრთხე
- ✓ ქონების განკარგვის კუთხით სახელმწიფო რეგულაციების გამკაცრება
- ✓ სტიქიური მოვლენები, უძრავი ქონების დაზიანება
- ✓ პოლიტიკური არასტაბილურობა მეზობელ ქვეყნებში

შპს „ჯიარ ბორჯომი - ბაკურიანი“

კომპანიის შესახებ

2010 წლიდან დაარსდა შპს „ჯიარ ბორჯომი-ბაკურიანი“, რომელიც შეიქმნა სს „საქართველოს რკინიგზა“-ს ხაშურის რეგიონის ამავე სახის სამსახურების ბაზაზე. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს „ჯიარ ქონების მართვა“.

ორგანიზაციული სტრუქტურა

კომპანიაში ამ ეტაპზე დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 55 თანამშრომელს.

2017 წლიდან შპს „GR ბორჯომ-ბაკურიანის“ თანამშრომლები თანამდებობრივ სარგოზე დანამატებს შემდეგი წესის მიხედვით იღებენ:

კომპანიაში დასაქმებული მუშაკებისათვის, შვებულებაში გასვლისას, კომპანიის თანამშრომლებზე, რომელთა თვიური თანამდებობრივი სარგო არ აღემატება 1,250 ლარს, მუშაობის სტაჟის გათვალისწინებით, დაწესდა დანამატის გაცემა შემდეგი ოდენობებით:

- 5-დან 10 წლის სტაჟის ჩათვლით - 90 ლარი;
- 10-დან 20 წლის სტაჟის ჩათვლით - 120 ლარი;
- 20 წელზე ზემოთ - 180 ლარი.

კომპანიაში დასაქმებული მუშაკებისათვის შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეებში, დამტკიცდა დანამატი შესრულებული მუშაობისათვის ყოველი საათისათვის საათობრივი განაკვეთის 34% ოდენობით.

იმ თანამშრომლებისათვის, რომლებსაც მინიჭებული აქვთ საპატიო რკინიგზელის წოდება, 20%-ის ოდენობით თანამდებობრივი სარგოს (თვიური სატარიფო განაკვეთის) დანამატი დაწესდა.

კონსოლიდირებული მონაცემები

საინვესტიციო ქონება

არსებული აქტივების გამოყენებით, ორიენტირებულია გრძელვადიანი შემოსავლების მიღებაზე. აქტივები:


		ნარჩენი საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2025
1	უძრავი ქონება	16 071 ათასი
2	მიწის ნაკვეთები	25 502 ათასი
ჯამი		41,573 ათასი

სხვა ქონება და აღჭურვილობა


კომპანიის ბალანსზე ირიცხება სხვადასხვა ტიპის რკინიგზის მოძრავი შემადგენლობა (ელმავლები, სატვირთო და სამგზავრო ვაგონები). ასევე კომპანიის ბალანსზე ირიცხება მოძველებული ავტომობილები, მანქანა-დანადგარები და კავშირგაბმულობის საშუალებები. ამჟამად კომპანიაში მიმდინარეობს მოძრავი შემადგენლობის დახარისხება მისი ტიპის და ლიკვიდურობის მიხედვით, რათა კომპანიამ უფრო ეფექტურად და სწრაფად მოახდინოს მისი რეალიზება.

მოძრავი შემადგენლობის ნარჩენი საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,015 ათასი
სხვა ქონების და აღჭურვილობის ნარჩენი საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,486 ათასი


შემოსავლები



2024 წელს 2023 წელთან შედარებით, შემოსავალი იჯარიდან შემოსავალი გაიზარდა 11,5 %-ით.



2024 წელს 2023 წელთან შედარებით, მოგება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან შემცირდა 32 %-ით.



- ჯგუფის საოპერაციო ხარჯებმა შეადგინა 2, 805 ათასი ლარი, მათ შორის ქონების და მიწის გადასახადი 846 ათასი ლარი.

ფინანსური რისკები

ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს და საპროცენტო განაკვეთის რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

ჯგუფის მენეჯმენტი პასუხისმგებელია ჯგუფის რისკების მართვის ზედამხედველობაზე. ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკა ექვემდებარება რეგულარულ და პერიოდულ გადახედვას, რათა მოხდეს საბაზრო პირობებში ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების დროული ასახვა.

ჯგუფის შესაძლოა აღმოჩნდეს შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

დებიტორული დავალიანება: ჯგუფის საკრედიტო რისკის დაქვემდებარებაზე ძირითადად თითოეული კლიენტის ინდივიდუალური მახასიათებლები მოქმედებს. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს ფაქტორებს, რომლებმაც შესაძლოა იმოქმედონ ჯგუფის კლიენტთა ბაზის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ მრეწველობის და ქვეყნის დეფოლტის რისკი, რომელშიც ფუნქციონირებენ კლიენტები, კერძოდ ბოლო დროს გაურესებულ ეკონომიკურ პირობებში.

მოთხოვნებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი იმართება მოთხოვნის ნაშთების ყოველთვიური მონიტორინგით და მოთხოვნით ვალის სასწრაფო დაფარვის შესახებ, როდესაც ნაშთი მიუახლოვდება ყველა ინდივიდუალური კონტრაგენტისთვის განსაზღვრულ კონკრეტულ ზღვარს.

კლიენტის საკრედიტო რისკის მონიტორინგისას, კლიენტები ჯგუფდება მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის ასაკობრივი პროფილი, დაფარვის ვადა და წინა ფინანსური პრობლემების არსებობა და სხვა.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, როდესაც ჯგუფი ვერ უზრუნველყოფს დაკისრებული ვალდებულების დროულად დაფარვას. ლიკვიდურობის რისკების პრევენციული მიზნებისათვის ჯგუფის მიდგომაა, რომ ვალდებულების გადახდის თარიღისათვის გააჩნდეს ყველა ფინანსური დავალიანების დაფარვის საშუალება, რათა შენარჩუნებულ იქნას ჯგუფის მაღალი რეპუტაცია საზოგადოების წინაშე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შპს „ჯიარ ქონების მართვა“ აგრეთვე უზრუნველყოფს სამუშაო კაპიტალის (working capital) დადებით ბალანსს, რაც გულისხმობს იმას, რომ ჯგუფის მიმდინარე აქტივები უნდა აღემატებოდეს მიმდინარე ვალდებულებებს. ჯგუფის მენეჯმენტი ახორციელებს სამუშაო კაპიტალის პერიოდულ მონიტორინგს.

შპს „ჯიარ ქონების მართვა“ ყოველთვიურ რეჟიმში ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მონიტორინგს.

ჯგუფს, იქიდან გამომდინარე რომ ლიკვიდური აქტივები (საბანკო ანგარიშები და დეპოზიტები) გაცილებით აღემატება ვალდებულებებს, ლიკვიდურობის რისკი არ გააჩნია.

საბაზრო რისკი. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის პერიოდული მონიტორინგი ხორციელდება. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. ჯგუფი შესაძლოა დაექვემდებაროს სავალუტო რისკს ყველა იმ ტრანზაქციაზე, რომელიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში (მაგ. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, შესყიდვები, ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები, სავაჭრო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები). ვალუტები, რომელშიც ეს ოპერაციები, ძირითადად, დენომინირებულია არის აშშ დოლარი.

სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

კაპიტალის მართვა. ჯგუფის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს ჯგუფის გამართული ფუნქციონირება, რათა მეწილეებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს ჯგუფის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა მოახდინოს გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს კაპიტალი ან გაზარდოს საწესდებო კაპიტალი.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფს არ გააჩნია სესხები ან სხვა სახის ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც ერიცხება პროცენტი. თუმცა განთავსებული დეპოზიტებიდან საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილება იქონიოს შემოსავლებზე, მატების ან კლების კუთხით

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები.

კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც აუდირებულია სერთაშორისო აუდიტორიული კომპანიის მიერ.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისთვის, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის განვითარება დინამიურად და სტაბილურად მიმდინარეობს. მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში ჯგუფი ჩვეულებრივ გაარგძელებს მის საოპერაციო საქმიანობას ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების მნიშვნელოვანი რეზერვების არსებობის, გარე ვალის არარსებობის და საჭიროების შემთხვევაში,

მშობელი კომპანიის სს „საქართველოს რკინიგზის“ ფინანსურ რესურსებზე თავისუფალი წვდომის შედეგად.

ხელმძღვანელობა აგრძელებს სიტუაციის მონიტორინგს და მსგავსი მოვლენების და გარემოებების შესამსუბუქებლად (მათი მოხდენის შემთხვევაში) მიიღებს ადეკვატურ ზომებს.

2024 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის, მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ, 2025 წლის 25 აპრილს

გენერალური დირექტორი

ივანე კაპანაძე

მშობელი კომპანიის სს „საქართველოს რკინიგზის“ ფინანსურ რესურსებზე თავისუფალი წვდომის შედეგად.

ხელმძღვანელობა აგრძელებს სიტუაციის მონიტორინგს და მსგავსი მოვლენების და გარემოებების შესამსუბუქებლად (მათი მოხდენის შემთხვევაში) მიიღებს ადეკვატურ ზომებს.

2024 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის, მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ, 2025 წლის 24 აპრილს

გენერალური დირექტორი

ივანე კაპანაძე

